სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N179

დ. ადიგენი 4 სექტემბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახით (მის: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქN5), შემდგომში ,,შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, ი/მ ,,ქეთევან ხიზანიშვილი", წარმოდგენილი ქეთევან ხიზანიშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] " ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია ადიგენის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის სახსრებით თარგმნითი მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი N1-ის შესაბამისად._CPV: 79500000 - ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები 79530000 - მთარგმნელობითი მომსახურება 79500000).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 540 (ხუთასორმოცი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დაბა ადიგენი, თამარ მეფის ქ. 5.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო
6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების, მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს
დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.

მუხლი 13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1 საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია
ს.კ 222729162
მის: ადიგენი, თამარ მეფის 5;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162;

ADIGENI MUNICIPALITY
Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2019.09.04 17:00:34 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი
ზაქარია ენდელაძე

მომწოდებელი:
ი.მ. „ქეთევან ხიზანიშვილი“
ქ. თბილისი, კრწანისის მე-2 გას, კორპ 21, ბინა 25
ს/კ 35001001900
სს „საქართველოს ბანკი“
BAGAGE22
GE47BG0000000853501800

ინდ.მეწარმე:

/ქეთევან ხიზანიშვილი /

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	გვერდის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი	მომსახურების გაწევის ვადა
1	თარგმნითი მომსახურება (48390 სიმბოლო)	27	20	540	2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით
	სულ			540	

ინდ.მეწარმე:

ქეთევან ხიზანიშვილი